პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 60 (6125)

1978 წ. 26 მარტი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

# ვიწონებთ, მხარს ვუჭერთ!

## სახელმწიფოს ზრუნვის საგანი

**თბილისის** დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ყველა საამქროში, ტერიტორიაზე, სამმართველოში ჯგუფებად თავშეყრილი მშრომლები გუშინწინ დილითვე გულმოდგინედ ეცნობოდნენ რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნებულ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტს და ყველგან კმაყოფილების გრძნობით ლაპარაკობდნენ მასზე, იწონებდნენ, მხარს უჭერდნენ.

კონსტიტუციის პროექტში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის ამაღლების ღონისძიებებს, რაც ფიზკულტურისა და სპორტის გაუმჯობესებითაც ხორციელდება. მეტად საგულისხმოა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტის 24-ე მუხლი, სადაც ვხვდებით სიტყვებს: „სახელმწიფო... ხელს უწყობს მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას“. ამით ძალიან ბევრია ნათქვამი, კერძოდ ის, რომ ფიზკულტურა და სპორტი სახელმწიფოს ზრუნვის საგანია და მან კანონის ძალა შპოვა. ეს პუნქტი საწარმოების, დაწესებულებების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლების ხელმძღვანელების წინაშე ახალ ამოცანებს აყენებს, ყველას ავალდებულებს მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილების მიხედვით კიდევ უფრო აამაღლონ მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დონე — ჯანმრთელობის გაკაჟებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ეს უებარი საშუალება.

**ა. ნებიერიძე,**
**თბილისის საავიაციო ქარხნის მუშა.**

## ჩვენი წინსვლის მაცნე

**ინტერესით** გავეცანი გუშინწინ გაზეთებში გამოქვეყნებულ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტს. როგორც ფიზკულტურულმა მუშაკმა, განსაკუთრებული კმაყოფილებით აღვიქვი ის დიდი ყურადღება და ზრუნვა, რომელიც ახალი კონსტიტუციის პროექტში ჩანს ფიზკულტურისა და სპორტის მიმართ. ამ ბოლო დროს საქართველოში დიდი მხარდაჭერით სარგებლობს ფიზკულტურული მოძრაობა, სპორტში ახალგაზრდობის დაოსტატება. ჩვენი სპორტსმენები სასახელოდ ახალ-ახალი გამარჯვებებით ამრავლებენ საბჭოთა სპორტის მონაპოვართ.

დიდად გაუთქვეს სახელი ქართულ სპორტს ჩვენმა მოჭადრაკეებმა, განსაკუთრებით ქალებმა. ნ. გაფრინდაშვილის, მ. ჩიბურდანიძის, ნ. ალექსანდრიას, ნ. იოსელიანის, ნ. გურიელის, ნ. მელაშვილისა და სხვების მიღწევები, თბილისში შესანიშნავი ჭადრაკის სასახლის აგება თვალნათლივ გამოხატავს იმ მზრუნველობას, რომლითაც გარემოსილია ჩვენში სპორტის ეს უძველესი სახეობა.

ახალი კონსტიტუციის პროექტი შთაგვაგონებს მეტი მონდომებით ვიბრძოლოთ შემდგომი წინსვლისთვის, სპორტში ახალი გამარჯვებებისთვის და ფიზკულტურული მოძრაობის უფრო მძლავრი აღმავლობისთვის.

ახალი კონსტიტუციის პროექტი საბჭოთა საქართველოს ცხოვრების მაჯისცემის ჭეშმარიტი მაცნეა. იგი ღრმად უნდა შეისწავლოს ყველა თანამემამულემ.

**რ. თავარიანი,**
**უმაღლესი დაოსტატების № 3 რესპუბლიკური სკოლის უფროსი მეთოდისტი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

## კარგი სწავლით ვუპასუხებ!

**ჩვენი** ქვეყნის ახალი კონსტიტუციის მიღებიდან თითქმის ნახევარმა წელიწადმა განვლო, ნახევარი წელია ცხოვრობს და მოქმედებს საბჭოეთის ხალხთა დიადი ქარტია.

და აი, გამოქვეყნდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომლის თითოეული მუხლი, თითოეული სტრიქონი და სიტყვა ჩვენი ხალხის კეთილდღეობისთვის ზრუნვითაა გამსჭვალული.

მე, როგორც სპორტსმენსა და ფიზკულტურის მომავალ სპეციალისტს, განსაკუთრებით მეამაყება, რომ კონსტიტუციის პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მასობრივი ფიზკულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარებას. მახარებს, რომ რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის აღმავლობა კანონმდებლობით იქნება განმტკიცებული.

ყოველივე ეს დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ჩვენ — სპორტსმენებსა და ფიზკულტურის მომავალ სპეციალისტებს. გადაწყვეტილი მაქვს მაღალი სპორტული შედეგებითა და კარგი სწავლით ვუპასუხო ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას.

**გ. ბრეგვაძე,**
**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი.**

# მოსკოვის საბჭოს სესია

**ყველაფერი** გაკეთდეს ოლიმპიადა-80-ის მაღალ დონეზე ჩასატარებლად, რომ მოსკოვის ოლიმპიადამ ახალი იმპულსი მისცეს მშვიდობისა და მეგობრობის კეთილშობილურ იდეებს — ამის შესახებ ისაუბრეს 24 მარტს მოსკოვის საბჭოს სესიაზე, რომელზეც განიხილეს ოლიმპიადისთვის მზადების მიმდინარეობა. სესიაზე მოხსენებით გამოვიდა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. პრომისლოვი.

ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება მჭიდროდაა დაკავშირებული დედაქალაქის განვითარებასთან, მოსკოველთა შრომის, საყოფაცხოვრებო და დასვენების პირობების გაუმჯობესების ფართო პროგრამის განხორციელებასთან. დეპუტატებმა ძირფესვიანად გააშუქეს ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების კომპლექსური გეგმით გათვალისწინებული ამოცანები, საზოგადოებრივი კვებისა და ვაჭრობის, სამგზავრო ტრანსპორტის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების საწარმოთა და კულტურულ დაწესებულებათა მუშაობის საკითხები. დიდი ყურადღება დაეთმო ოლიმპიური ობიექტების მშენებლობასა და რეკონსტრუქციას.

სესიაზე გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ნოვიკოვი (საქდესი).

სსრ კავშირის თასზე

# მთავარი კითხვა უპასუხოდ დარჩა

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 24 მარტი.

„დინამო“ (თბილისი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 2:1 (0:0).

„**დინამო**“: გაბელია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ქორიძე, მუჭირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი (შენგელია), გუცაევი, ყიფიანი, ჩელებაძე.

„**კოლოსი**“: სიდენკო, ბულბა, ნაიდა, კასიმცევი, პელიპენკო, ბრიტჩენკო, ჟურავლიოვი, პრილეპსკი, ბასოვი, დოროშჩენკო, ჩუმაკი.

მსაჯი: ა. ბალაიანი (ბაქო).

გოლები: პრილეპსკი (47), ჩივაძე (64, 86).

ამ დღეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი მაყურებელი არც „დინამოს“ გამარჯვების სანახავად მოსულა, არც მოსალოდნელი საინტერესო, დაძაბული სპორტული ორთაბრძოლა ყოფილა მისი დაინტერესების მიზეზი. გულშემატკივარს პირველყოვლისა გუნდის მზადყოფნა, მისი წლევანდელი, უფრო სწორად, საგაზაფხულო სახე აინტერესებდა, თორემ ცოტა თუ იქნებოდა ისეთი, ვინც ეჭვს შეიტანდა თბილისელთა საბოლოო წარმატებაში, ანდა ფეხბურთის შინაარსობრივ მხარეზე საუბრის თემად გაიხდიდა მეორე ლიგის კოლექტივთან ასპარეზობას.

მოხდა ისე, რომ რამდენიმე გარემოებამ ნაწილობრივ უპასუხოდ დატოვა ის ერთადერთი მთავარი კითხვაც — როგორი განზრახვით, რა შესაძლებლობით მიადგა ჩვენი გუნდი ჩემპიონატის ჯერ კიდევ შეუხსნელ კარს.

ამ უპასუხობის პირველი და მთავარი მიზეზი ალბათ მაინც კარგა გვარიანად შეცვლილი დაცვის ხაზის განლაგებაა. მარჯვენა მცველად კოსტავას ნაცვლად — ხიზანიშვილი, მწმენდავის ადგილი კანთელაძემ დაიჭირა. კანთელაძის ადგილზე კი ქორიძეს მოუწია თამაში. ნახევარდაცვაში თბილისელებს სამი ფეხბურთელი ჰყავდათ (ამ ხაზის ერთი მოთამაშით შემცირება უთუოდ მეტოქის სისუსტემაც განაპირობა). შუა მინდორში ქორიძისა და ტრავმირებული დარასელიას (ნაწილობრივ ყიფიანის) არყოფნამაც, რაღა თქმა უნდა, თავისი სიტყვა თქვა.

სხვა პირობებში და შედარებით სახელიანი მეტოქის ყოლისას, მატჩი უთუოდ სხვაგვარიც გამოდგებოდა, შესაძლოა იმ საინტერესო კითხვაზეც მიგველო პასუხი, ახლა კი იმასღა დავჯერდეთ, რომ მერვედფინალში წარმატება, ჩემპიონატის კარგი სტარტი და მეტი სპორტული სიმშვიდე ვუსურვოთ ფეხბურთელებს.

მეორე ტაიმის მეორე წუთზე სტუმართა მიერ გატანილ გოლს დინამოელებმა საკმაოდ ენერგიული, მაგრამ ცოტა არ იყოს ნაჩქარევი იერიშებით უპასუხეს. აქ, რა თქმა უნდა, ბევრად სუსტ მეტოქესთან გაუთვალისწინებელი, ამ შემთხვევაში კი სავსებით რეალურად გამოკვეთილი მოსალოდნელი მარცხის ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა ითამაშა თავისი როლი. ვერ გავამართლებთ მაყურებელთა იმ ნაწილს, ვინც სტვენით გადაწყვიტა თავისი გუნდის „დახმარება“, თუმცაღა „დინამოსაც“ მეტი სიდინჯე და გრძნობების ნაკლებად აყოლა უნდა გამოეჩინა.

ტრიბუნასა და გუნდს შორის არსებულ არასწორ, ხშირად გაუთვითცნობიერებელ დამოკიდებულებაზე მიანიშნებს ერთი საინტერესო დეტალი.

„დინამო“ 0:1-ზე აგებს მატჩს, შეხვედრის დასასრულამდე ოცდაათი წუთია დარჩენილი და ამ დროს ყიფიანი მშვიდად ათამაშებს ცენტრში ბურთს. ისევ უკმაყოფილება ტრიბუნებზე. ისევ მოწოდება — ჩქარა, რა დროს ბურთის თრევაა...

შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით თბილისელთა თავდამსხმელის ამგვარი მოქმედება სავსებით ლოგიკური იყო — გუნდი დამშვიდდა, მერე კი საკმაოდ იოლად შეძლო ორი ბურთის გატანა.

არ მინდა მკითხველმა ისე გამიგოს, თითქოს ყველა ზემონათქვამით „კოლოსთან“ მინიმალური სხვაობით გამარჯვებას ვამართლებდე. სრულებითაც არა, მაგრამ თუ თბილისის „დინამოს“ ჩვენს გუნდს ვეძახით, თუ მის საქომაგოდ სტადიონზე მისვლა სიამოვნებაა დარსა თუ ავდარში, ის ჩვენი უნდა დარჩეს ყოველთვის, სულერთია უჭირს თუ ულხინს გუნდს.

**ი. ზერიაშვილი.**

* * *



ს უ რ ა თ ზ ე: თამაშის ერთ-ერთი მომენტი.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

## სსრკ ჩემპიონატი

მოგვყავს თასის მერვედფინალური მატჩების შედეგები (ფრჩხილებში ნაჩვენებია პირველ შეხვედრათა შედეგები), რომლებიც შედგა 24 მარტს.

„შახტიორი“ (დონეცკი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 2:0 (2:1).

„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „არარატი“ (ერევანი) 1:0 (0:5).

„შინიკი“ (იაროსლავლი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 0:1 (0:1).

„თერეკი“ (გროზნო) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:1 (0:3).

„ფაკელი“ (ვორონეჟი) — „ქაირატი“ (ალმა-ათა) 1:1 (0:0).

„კარპატი“ (ლვოვი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 0:1 (1:1).

„დინამო“ (კიევი) — „სპარტაკი“ (რიაზანი) 3:1 (3:0).

„შირაკი“ (ლენინაკანი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 0:2 (0:0).



# დღეს!

**თბილისის იპოდრომზე გაიმართება რესპუბლიკური მძლეოსნური კროსი გაზეთ „პრავდის“ პრიზებზე.**

დასაწყისი 11 ს.

## აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის

# ნუ დავკარგავთ კარგ ტრადიციებს

თბილისის არმიელთა სპორტკლუბის ბაზაზე სამ დღეს გაგრძელდა საქართველოს მესტენდურეთა საგაზაფხულო ტურნირი, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მზადებაში გაწეული მუშაობის შემოწმებასაც ისახავდა მიზნად.

ცეცხლის ხაზზე გამოვიდა ყველა საუკეთესო თბილისელი თ. იმნაიშვილის გარდა. იგი იმ დროს სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდა.

ადგილიდან და მრგვალ სტენდზე სროლაში გამარჯვებისთვის იბრძოდა თითო სპორტის დამსახურებული ოსტატი და საერთაშორისო კლასის ოსტატი, 10 სპორტის ოსტატი, 13 სპორტის ოსტატობის კანდიდატი...

პირად შეჯიბრებაში მონაწილენი 200-200 სამიზნეს სამ დღეს ესროდნენ. მრგვალ სტენდზე თბილისელი საერთაშორისო კლასის ოსტატი თ. მატოიანი დაწინაურდა, რომელმაც 100-დან 95 სამიზნე გატეხა. მასთან თანაგუნდელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ტ. ჟღენტი ქულას აგებდა. ორივე სპორტსმენი მსოფლიო და სსრ კავშირის რეკორდის თანაავტორები არიან — ორივეს 200-დან 200 სამიზნე აქვს გატეხილი, მაგრამ ამჯერად...

ვერც მეორე 100 სამიზნეზე სროლამ მოგვცა დამაკმაყოფილებელი სურათი. ჟღენტმა და ქუთაისელმა სპორტის ოსტატმა ზ. მელაძემ 96-96 ქულა მოაგროვეს, რითაც ოსტატის ნორმატივი გაიმეორეს (წინა დღეს ოსტატის შედეგს მხოლოდ მატოიანი შეწვდა), მაგრამ ახლა მატოიანი ჩამორჩა — 9 სამიზნე უვნებლად გაუფრინდა. საბოლოოდ გამარჯვება დარჩა ჟღენტს 190 ქულა (200-დან), II ადგილზეა მატოიანი — 186, III — მელაძე — 185.

არც ადგილიდან მსროლელებს ჰქონდათ უკეთესი მაჩვენებლები. ერთადერთი, რომელმაც სპორტის ოსტატობა დაამტკიცა, თბილისელი ი. კონდრატიევი გახლდათ, შუა დისტანციაზე იგი თანაგუნდელ ოსტატ ვ. ამირხანოვთან (90 ქულა) ქულას აგებდა. ფინალში ამირხანოვს გასროლები ზედიზედ გაუფუჭდა და საბოლოოდ 200 შესაძლებლიდან 175 (?!) ქულით III ადგილზე აღმოჩნდა. მას აჯობეს სპორტის ოსტატობის კანდიდატმა გ. სიმონიანმა (178) და, რა თქმა უნდა, კონდრატიევმაც — 184.

თუ ამ შედეგებს საკავშირო ტურნირის საზომით მივუდგებით, უკმაყოფილონი უნდა ვიყოთ, რადგან ასეთი მაჩვენებლები არსად არაფერს მოგვცემს.

შეცვლიდა თუ არა ამინდს თ. იმნაიშვილის შეჯიბრებაში მონაწილეობა? არა, თუნდაც მას უვნებელი არცერთი სამიზნე რომ არ დარჩენოდა — ერთ მერცხალს გაზაფხული ვერ მოჰყავს.

რატომ ჩამორჩა ჩვენში სპორტის ეს ნამდვილად საინტერესო და პრაქტიკული სახეობა? ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევენ:

ტარიელ ჟღენტი (სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი და რეკორდსმენი): ხეირიანი სასროლეთების, თოფების, ტყვია-წამლის უკმარობის გამო. ეს სტენდი რესპუბლიკაში საუკეთესოდ ითვლება. სამოსწავლოდ შესაძლოა არმიელებისთვის მართლაც არა უშავს, მაგრამ მაღალი შედეგების მისაპოვებლად მასზე მეცადინეობით შორს ვერ წავალთ — დანადგარები უვარგისია, არ არის მიკროფონი (რომელმაც მსროლელს სამიზნე მოთხოვნისთანავე მექანიკურად უნდა მიაწოდოს), რის გამო თეფშებს ხელის მანქანებით გვაწვდიან, მანქანები კი ცუდად მუშაობენ, სამიზნეთა ფრენი უსუსტოა. მრგვალი სტენდის ერთ მოედანს ტაიმერიც არ აქვს...

თბილისის საუკეთესო მესტენდეები დედაქალაქის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლაში ვირიცხებით, სკოლა კი ვარჯიშებზე თვითეულს 50 ვაზნას გვაძლევს. ეს ზღვაში წვეთია — ასეთი ულუფა ახალბედებსაც კი არ ყოფნით. მე, როგორც „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრების წევრი, საზოგადოებიდან წელიწადში 5000 ვაზნას ვიღებ, ნორმალურად ვარჯიშისთვის იგი ორ თვეს თუ კმარა. აი, დღემდე რა „სასწავლო ინვენტარით“ მოვედით...

ლევან სიმონიანი (ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის უფროსი ინსტრუქტორი მესტენდურეთა მომზადებაში): თემურ მატოიანი ჩვენგან ყოველწლიურად 10 ათას ვაზნას იღებს (!) არმიელ სპორტსმენებს ტყვია-წამალი არ უჭირთ, ამიტომაც ჩვენი გუნდი ახლა რესპუბლიკაში ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება. ჟღენტის მიერ გამოთქმული საყვედურები უსაფუძვლო როდია. სასროლეთი სათანადოდ არ არის დატვირთული, ამ სახეობისადმი უყურადღებობის გამო „ლოკომოტივისა“ (კვირაში 4 საათი) და უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის გარდა მას არავინ ქირაობს, ამიტომ არც შემოსავალი აქვს, უსახსრობა კი ძალიან გვაფერხებს. ბაზას ტელეფონი არ გააჩნია, მისი წყლით უზრუნველყოფას საშველი არ დაადგა... (ჩვენ დავუმატებთ, რომ შენობაც შესაკეთებელია, ჭერიდან ოთახებში წყალი ჩამოდის).

ზურაბ კვაჭაძე (ბათუმელ მესტენდურეთა მწვრთნელი, სპორტის ოსტატი): ისედაც თითო-ოროლა ჯგუფისთვის საჭირო ტყვია-წამლის გადარიცხვით შეძენა არ ხერხდება. უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის რეორგანიზაციის გამო სასტენდო სროლის ჯგუფები დაიხურა ბათუმში, ქუთაისში, მახარაძეში, სპორტსაზოგადოებები კი ამ სახეობის განვითარებისთვის არაფერს აკეთებენ. ამჟამად ბათუმში სასტენდო სროლაში მუშაობა არ ტარდება. საგაზაფხულო შეჯიბრებაზე უვარჯიშებელი სპორტსმენებით ჩამოვედით. თუ ასე გაგრძელდა, ალბათ აჭარა საქართველოს სპარტაკიადაში მესტენდურეებს ვერ გამოიყვანს...

ზურაბ იაშვილი (ქუთაისელ მესტენდურეთა მწვრთნელი, სპორტის ოსტატი): ქუთაისის სპორტკომიტეტის სტენდი აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებას გადაეცა. ამ ორგანიზაციას თანამედროვე ტიპის ახალი სასროლეთის აგება აქვს გადაწყვეტილი. პროექტებიც არის. პირველი რიგის სამუშაოები შესრულდა — ფინური სახლი დადგეს, სამიზნეების დასამზადებელ მოწყობილობას ამონტაჟებენ. მაგრამ არავინ იცის, ობიექტი მთლიანად როდის ამუშავდება. თეფშები არ გვაკლია — მონკავშირმა 200 ათასი სამიზნე შემოზიდა სარეალიზაციოდ. მისი ნაღდ ანგარიშზე ყიდვა იოლი როდია, გადარიცხვით შეძენის უფლებას კი არ იძლევიან. ჩვენთან მონკავშირის ერთი ჯგუფია, ერთიც ამასწინათ „სპარტაკმა“ გახსნა. ორი ჯგუფით ცხადია, შორს ვერ წავალთ.

ზურაბ მაჩხანელი (სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი): ნათქვამს დავუმატებ, რომ კვალიფიციური მწვრთნელებიც არ გვყავს საკმაოდ, ვეტერანების უმეტესობა სტენდს აღარ ეკარება, თბილისში უმაღლესი სპორტული ოსტატობის სამი, „ლოკომოტივის“, მონკავშირისა და „სპარტაკის“ — თითო ჯგუფი, აი მთელი ჩვენი სკოლა, რომელმაც უმაღლესი კლასის ოსტატები უნდა მოგვცეს. მაგრამ ამ ჯგუფებსაც არ აქვთ წვრთნისთვის საჭირო ყველა პირობა: ძველი თოფები წყობიდან გამოდის, ახლებს ვერ ვშოულობთ, ამ მხრივ განსაკუთრებით პერიფერიებში ჭირს. უბაზობა, უთოფობა და ტყვია-წამლის უკმარობაცაა მიზეზი, რომ გამოცდილი სპეციალისტები მწვრთნელობაზე უარს ამბობენ. მარტო აკ-სა და „ლოკომოტივშია“ დანერგილი ეს სახეობა. „დინამო“, „განთიადი“, „ბურევესტნიკი“, „კოლმეურნე“, „შრომითი რეზერვები“, „ვოდნიკი“ არაფერს აკეთებენ. შესაძლოა მათთვის ძნელია გუნდები იყოლიონ, მაგრამ ყოველწლიურად თითო-ოროლა მესტენდურის აღზრდისთვის მაინც რომ იზრუნონ, ესეც საქმეა.

„კოლმეურნემ“, მონკავშირმა სასტენდო სროლას თავი მიანებეს. ზუგდიდში „კოლმეურნის“ სტენდი აღარ მუშაობს. აფხაზეთში, რომელიც შესანიშნავ რეზერვს იძლეოდა, აღარაფერი კეთდება. მახარაძეში ორიოდე წლის წინ კარგი ბაზა ააგეს, მაგრამ კარგახანია [illegible] მიტომაც იყო, რომ ამ ტურნირზე მხოლოდ თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის კოლექტივები იბრძოდნენ (ადგილებიც ამ თანმიმდევრობით დაიკავეს)...

ის რაც სპეციალისტებმა თქვეს, ახალი ამბავი როდია, ამ ნაკლოვანებებმა გუშინ და გუშინწინ კი არ წამოყვეს თავი, არამედ მას შემდეგ, რაც გაკეში მონკავშირის სტენდის ადგილზე საცხოვრებლები აშენდა. მაშინ შესანიშნავი ბაზა დაინგრა, სამაგიეროს აგებაზე კი არავის უფიქრია. „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭომ რამდენიმე წლის უკან გზის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით სასროლეთის აგება გადაწყვიტა, პროექტებიც შედგა, მაგრამ თბილისში არ მოხერხდა საამისოდ საჭირო მიწის ნაკვეთის გამოყოფა.

არც მსაჯობის საქმე გვაქვს სახარბიელოდ. ათი წელია კატეგორია არავის აუმაღლებია, სემინარები არ ტარდება. ასპარეზობებს ერთი და იგივე არბიტრები ემსახურებიან — ხშირად ამ მოვალეობას სპორტსმენები ასრულებენ ხოლმე.

ყველა ამის გამოა, რომ რესპუბლიკაში ერთი ხეირიანი გუნდის დაკომპლექტებაც აღარ ხერხდება. ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ შარშან საქართველოს ადგილიდან მსროლელები საკავშირო ტურნირში არ მონაწილეობდნენ, ამიტომ წლევანდელ თასის გათამაშებაში (4 აპრილი, კიევი), ისინი II ჯგუფში გამოვლენ. მრგვალ სტენდზე, როგორც შარშანდელი ასპარეზობის პრიზიორს 2 კოლექტივით მონაწილეობის უფლება აქვს, მაგრამ ქალი და იუნიორი არ გვყავს...

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის საქართველოს მესტენდურების მზადებაში მრავალი პრობლემაა და თუ ისინი სასწრაფოდ არ გადაიჭრა, საგაისო სტარტებში დიდი მოსავლის იმედი არ უნდა გვქონდეს.

საჭიროა საქართველოს სასტენდო სროლის ფედერაციამ, მისმა მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმმა და მწვრთნელთა საბჭომ, საქართველოს სპორტკომიტეტის შესაბამის განყოფილებასთან საერთო ძალით ახლავე დასახონ ღონისძიება და მისი განუხრელად განხორციელებისთვის დროულად იზრუნონ.

ნუ დავკარგავთ იმ კარგ ტრადიციებს, რაც საქართველოს მესტენდურებს ჰქონდათ.

**ო. გელაშვილი.**

---

# ექვსნი სამაშველო რაზმიდან

● „ძია მიტოს ქოხი“
● სენბერნარი „ბეკი“ — პატარების „რისხვა“
● სავარძლით კოხტას მწვერვალზე... და სხვა



— მგელი! — პატარა ეკას შემზარავმა კივილმა სასტუმრო „ბაკურიანის“ წინ მოთამაშე ბავშვები თოვლის ფანტელებივით მიმოფანტა: ზოგი სად გარბოდა, ზოგი სად! ყურებზე დიდქუდჩამოფხატულმა ცეროდენა აჩიკომ გულისხეთქვით იქვე მავთულის ბადით შემოკავებულ მესერში მოასწრო შეძრომა. „მგელი“ კი... მშვიდად მიუახლოვდა ყველასაგან მიტოვებულ დიდ ნაცრისფერ ბურთს, ჯერ დაყნოსა, მერე კი თავისი უზარმაზარი დრუნჩით თამაში დაუწყო თოვლზე.

— დაათრევენ ვიღაცა „სტილიაგები“ ხარისოდენა ძაღლებს, გულს უხეთქავენ ბავშვებს! — გაისმა სასტუმროს აივნებიდან მზის აბაზანების მისაღებად გამოსული მშობლების აღელვებული ხმები.

— ბეკი, ჩემთან, ბეკი!... — მშვიდად დაუძახა ძაღლს პატრონმა, შავ სათხილამურო ფორმაში გამოწყობილმა, საშუალო სიმაღლის კაცმა, რომელსაც სახე სულ მთლად გარუჯული ჰქონდა მზისგან.

...ვინ არ იცნობს ბაკურიანში სამაშველო სამსახურის უფროსს, ცნობილ ალპინისტსა და მხატვარს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს დიმიტრი დანგაძეს.

„ძია მიტოს ქოხი“ — ასე სიყვარულით, ჰარიეტა ბიჩერ-სტოუს შესანიშნავი წიგნის სახელწოდების მსგავსად უწოდებენ ახალგაზრდები კოხტა I-ს ძირას მოთავსებულ სამაშველო სადგურს. სხვათა შორის, ამ ქოხის ნახვა აუცილებლობად მიაჩნია ბაკურიანში ჩამოსულ ყველა დამსვენებელსა თუ სტუმარს. ეწვიეთ მას და თქვენც მოიხიბლებით მისი ორიგინალური იერით, გემოვნებით მოწყობილი საშინაო ბარითა თუ დასასვენებელი ოთახებით, გულუხვი მასპინძლების სტუმართმოყვარეობით. საძინებელ ოთახში ყველა სასთუმალთან მიმაგრებულია ყვითელი ლითონის ასოებისაგან შემდგარი სახელები. „თამაზი“ — ეს არქიტექტორ თამაზ ქავთარაიას საწოლია, „ვახტანგი“ — ესეც არქიტექტორია, ვახტანგ მიქელაძე, „ომარი“ — ეს კი აგრონომი ომარ ლორთქიფანიძეა, „გიგა“ — მოქანდაკე გივი ლოლობერიძე და, ცხადია, „მიტო“. ხუთივენი თხილამურებზე, რომ იტყვიან, თავიდან ფეხებამდე შეყვარებულნი არიან და, როგორც სამაშველო სამსახურის წევრებს, მთლად დასერილი აქვთ კოხტაგორის ქედები.

..ხუთნი ერთ აკიასთან (სამაშველო ციგა) თუ არ ჩავთვლით ძაღლს! ეს კი მგონი უკვე კ. ჯერომ-ჯერომიდანაა. მაგრამ რატომ „არ ჩავთვლით“, ჩვენ ხომ სწორედ ოთხფეხა მაშველ სენბერნარ „ბეკიზე“ გვსურს მოგითხროთ.

მაშ მცირეოდენი ისტორიაც: ეს მსხვილი ჯიშის ძაღლი ჯერ კიდევ XIII-XIV საუკუნეებში გამოუყვანიათ ცენტრალური ევროპის მთიან რაიონებში. მისი სახელწოდება დაკავშირებულია შვეიცარიაში მდებარე სენბერნარის (წმინდა ბერნარის) მონასტერთან, სადაც ძაღლს იყენებდნენ თოვლიან ქარბუქსა ან ზვავში დაკარგული ადამიანების საძებნელად. სხვათაშორის შვეიცარიაში ამავე სახელწოდების ორი უღელტეხილიცაა — დიდი და პატარა სენ-ბერნარი, ხოლო საფრანგეთის დედაქალაქ პარიზის ერთ-ერთ მოედანზე დიდთავა, თეთრ ტანზე ჟღალი ფერის ლაქებიანი სანბერნარის ჯიშის (ზუსტად ასეთია ბაკურიანელი „ბეკიც“) ერთმეტრიანი ძაღლის ქანდაკება დგას. ადგილობრივი მკვიდრნი სიამაყით მოგითხრობენ თავიანთი სახელგანთქმული „ბარის“ ამბავს. ამ გონიერ ძაღლს თურმე გოროზი მთებიდან დაცურებული თუ ყინვაში გათოშილი, არც მეტი, არც ნაკლები, 40 კაცი გადაურჩენია დაღუპვას ალპებში. ორმოცდამეერთესთან შეხვედრა კი მისთვის საბედისწერო გამოდგა... მთელი დღე დაეძებდა ზვავში ცოცხლად ჩატანებულ მეგობარს ღონემიხდილი მაშველი ჯგუფი. წინ „ბარი“ მიდიოდა. უკვე საკმაოდ ბნელოდა. უეცრად ძაღლმა იყნოსა დაკარგული ადამიანი, აიღო კვალი და სწრაფად დაიწყო თათებით თოვლის გათხრა. აი, მგონი მიაგნო კიდეც, მაგრამ შეშინებულმა ადამიანმა იგი მგლად თუ დათვად მიიჩნია და... ბებუთი ჩასცა გულმკერდში, ერთი კი შეღმუვლა ოთხფეხამ, შემდეგ კი (ჰოი, საოცრებავ!) მთელი ძალღონე მოიკრიბა და გონწასული ნახევრადგაყინული ადამიანი ზემოთ, სამშვიდობოს ამოიყვანა. ამოიყვანა და თვითონ დაეცა სისხლისგან დაცლილი...

მადლიერმა კაცობრიობამ ძაღლს ძეგლი აუგო. ასეთია ეს, ერთის მხრივ ბედნიერი, მეორეს მხრივ კი — ტრაგიკული ისტორია.

— ჩვენი „ბეკი“ (პასპორტით მას ოფიციალურად „იკაროსი“ ეწოდა), ჯერ წლინახევრისაა და უკვე 70 სანტიმეტრს აღწევს სიმაღლეში, მისი წონაც 70 კილოგრამს უდრის — აკმაყოფილებს ჩვენს ცნობისმოყვარეობას დ. დანგაძე — სენბერნარი ბაკურიანში წელს, იანვარში ჩამოგვიყვანეს, რეგულარულად ვავარჯიშებთ და უკვე კარგად იღებს კვალს. შესანიშნავად დადის ციცაბო მთებზე, ორივე კოხტაგორაზე ადვილად ადის და ჩამოდის. სხვათა შორის მოთხილამურეებისა არ იყოს, მწვერვალზე ახლა საბაგირო გზით ასვლას არჩევს. პირველად კი ეშინოდა! „ჰაერში ჩამოკიდებულ“ სავარძელში დაჯდომა, მაგრამ სულ მალე შეეჩვია კოხტაზე კომფორტით მგზავრობას.

თავის მხრივ დავუმატებთ, რომ მართალია ბაკურიანელი „ბეკის“ ბიოგრაფია ჯერ საგრძნობლად მოკრძალებულია სახელგანთქმულ ალპელ წინამორბედთან შედარებით, მაგრამ მან აქ უკვე მოასწრო ერთი საგმირო საქმის „ჩადენა“. მოსწავლეთა არდადეგების დროს კოხტა I-ზე მოულოდნელად დაეცა თხილამურებზე შემდგარი 7 წლის ბიჭუნა. იგი სწრაფად დაგორდა ციცაბო დაღმართზე... „ბეკი“, რომელიც ამ დროს გაცილებით მაღლა იმყოფებოდა, უმალვე მოსწყდა ადგილს, დაექანა თავქვე, დაეწია მსხვერპლს, საყელოში სწვდა და დასახიჩრებას თუ, ვინ იცის, სიკვდილს გადაარჩინა.

ბაკურიანელებს მიაჩნიათ, რომ ეს მიტო დანგაძის ერთგული ოთხფეხა მეგობრის პირველი სერიოზული გამოცდა იყო. „ბეკიმ“ იგი მართლაც ფრიადზე ჩააბარა!

**ო. ნოზაძე.**

ბაკურიანი.

• • •

სურათზე: დ. დანგაძე და „ბეკი“ კოხტა II-ზე.

ავტორის ფოტო.

# I ლიგა

## სსრ კავშირის პირველობა

# კალენდარი

## I წრე

### აპრილი

9. „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (ლენინგრადი), ასკ (როსტოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი), „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი), „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „დინამო“ (მინსკი), „თერგი“ (გროზნო) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი), „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „კუზბასი“ (კემეროვო), „პამირი“ (დუშანბე) — „ყუბანი“ (კრასნოდარი), „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი), „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი), „კარპატი“ (ლვოვი) — ასკ (ოდესა).

13. „ტორპედო“ — „შინიკი“, ასკ რ. — „დინამო“ ლ. „ტავრია“ — „დინამო“ მ., „მეტალურგი“ — „ჟალგირისი“, „თერგი“ — „კუზბასი“, „სპარტაკი“ ო. — „ურალმაში“, „პამირი“ — „კრ. სოვეტოვი“, „კოლხოზჩი“ — „ყუბანი“.

20. „დინამო“ მ. — „სპარტაკი“ ო. „ჟალგირისი“ — „თერგი“, „კარპატი“ — „მეტალურგი“, „სპარტაკი“ ი.-ფ. — „ტავრია“, „ყუბანი“ — „ურალმაში“, „დინამო“ ლ. — „პამირი“, „შინიკი“ — „კოლხოზჩი“, ასკ ო. — ასკ რ. „ნისტრუ“ — „ტორპედო“, „კრ. სოვეტოვი“ — „კუზბასი“.

24. „დინამო“ მ. — „თერგი“, „ჟალგირისი“ — „სპარტაკი“ ო., „კარპატი“ — „ტავრია“, „სპარტაკი“ ი.-ფ. — „მეტალურგი“, „დინამო“ ლ. — „კოლხოზჩი“, „შინიკი“ — „პამირი“, ასკ ო. — „ტორპედო“, ასკ რ. — „ნისტრუ“, „ურალმაში“ — „კრ. სოვეტოვი“.

28. „ტორპედო“ — „სპარტაკი“ ი.-ფ., ასკ რ. — „კარპატი“, „თერგი“ — „დინამო“ ლ., „სპარტაკი“ ო. — „შინიკი“, „პამირი“ — „ჟალგირისი“, „კოლხოზჩი“ — „დინამო“ მ. „ტავრია“ — ასკ ო., „კუზბასი“ — „ურალმაში“, „კრ. სოვეტოვი“ — „ყუბანი“.

### მაისი

2. „ტავრია“ — „ნისტრუ“, „ტორპედო“ — „კარპატი“, ასკ რ. — „სპარტაკი“ ი.-ფ., „თერგი“ — „შინიკი“, „სპარტაკი“ ო. — „დინამო“ ლ. „პამირი“ — „დინამო მ., „კოლხოზჩი“ — „ჟალგირისი“, „ყუბანი“ — „კუზბასი“, „მეტალურგი“ — ასკ ო.

7. „ნისტრუ“ — „კარპატი“, „კუზბასი“ — „კოლხოზჩი“, „ურალმაში“ — „პამირი“, „კრ. სოვეტოვი“ — „სპარტაკი“ ო. „ყუბანი“ — „თერგი“, „შინიკი“ — „მეტალურგი“, „დინამო“ ლ. — „ტავრია“, „ჟალგირისი“ — „ტორპედო“, „დინამო“ მ. — ასკ რ., „სპარტაკი“ ი.-ფ. — ასკ ო.

11. „კუზბასი“ — „პამირი“, „ურალმაში“ — „კოლხოზჩი“, „კრ. სოვეტოვი“ — „თერგი“ — „ყუბანი“ — „სპარტაკი“ ო., „შინიკი“ — „ტავრია“, „დინამო“ ლ. — „მეტალურგი“, „დინამო“ მ. — „ტორპედო“, „ჟალგირისი“ — ასკ რ., ასკ ო. — „ნისტრუ“, „კარპატი“ — „სპარტაკი“ ი.-ფ.

18. „კუზბასი“ — „დინამო“ ლ. „ურალმაში“ — „შინიკი“, „კრ. სოვეტოვი“ — „ჟალგირისი“, „ყუბანი“ — „დინამო“ მ, „თერგი“ — „სპარტაკი“ ი.-ფ. „სპარტაკი“ ო. — „კარპატი“, „პამირი“ — „ნისტრუ“, „კოლხოზჩი“ — ასკ ო. „ტორპედო“ — „მეტალურგი“, ასკ რ. — „ტავრია“.

20. „კუზბასი“ — „შინიკი“, „ურალმაში“ — „დინამო“ ლ. „კრ. სოვეტოვი“ — „დინამო მ. „ყუბანი“ — „ჟალგირისი“, „თერგი“ — „კარპატი“, „სპარტაკი“ ო. — „სპარტაკი“ ი.-ფ. „პამირი“ — ასკ ო. „კოლხოზჩი“ — „ნისტრუ“, „ტავრია“ — „ტორპედო“.

25. „მეტალურგი“ — ასკ რ. „შინიკი“ — „ყუბანი“, „დინამო“ ლ. — „კრ. სოვეტოვი“, „დინამო“ მ. — „ურალმაში“, „ჟალგირისი“ — „კუზბასი“, „ნისტრუ“ — „სპარტაკი“ ო. ასკ ო. „თერგი“, „კარპატი“ — „კოლხოზჩი“, „სპარტაკი“ ი.-ფ. — „პამირი“.

29. „შინიკი“ — „კრ. სოვეტოვი“, „დინამო“ ლ. — „ყუბანი“, „დინამო“ მ. — „კუზბასი“, „ჟალგირისი“ — „ურალმაში“, „ნისტრუ“ — „თერგი“. ასკ ო. — „სპარტაკი“ ო., „კარპატი“ — „პამირი“, „სპარტაკი“, ი.ფ. — „კოლხოზჩი“, „ტავრია“ — „მეტალურგი“, „ტორპედო“ — ასკ რ.

### ივნისი

2. „კუზბასი“ — „სპარტაკი“ ი.-ფ., „ურალმაში“ — „კარპატი“, „კრ. სოვეტოვი“ — ასკ ო., „ყუბანი“ — „ნისტრუ“, „თერგი“ — ასკ რ., „სპარტაკი“ ო. — „ტორპედო“, „პამირი“ — „მეტალურგი“, „კოლხოზჩი“ — „ტავრია“. „დინამო“ ლ. — „შინიკი“, „ჟალგირისი“ — „დინამო“ მ.

6. „კუზბასი“ — „კარპატი“, „ურალმაში“ — „სპარტაკი“ ი.-ფ., „კრ. სოვეტოვი“ — „ნისტრუ“, „ყუბანი“ — ასკ ო., „თერგი“ — „ტორპედო“, „პამირი“ — „ტავრია“.

7. „მეტალურგი“ — „კოლხოზჩი“, ასკ რ. — „სპარტაკი“ ო.

12. „ნისტრუ“ — „ურალმაში“, ასკ ო. — „კუზბასი“, „კარპატი“ — „ყუბანი“, „სპარტაკი“ ი.-ფ. — „კრ. სოვეტოვი“, „ტორპედო“ — „პამირი“, ასკ რ. — „კოლხოზჩი“, „ტავრია“ — „სპარტაკი“ ო., „მეტალურგი“ — „თერგი“, „დინამო“ ლ. — „ჟალგირისი“.

16. „ნისტრუ“ — „კუზბასი“, ასკ ო. — „ურალმაში“, „კარპატი“ — „კრ. სოვეტოვი“, „სპარტაკი“ ი.-ფ. — „ყუბანი“, „ტორპედო“ — „კოლხოზჩი“, „პამირი“ — ასკ რ., „ტავრია“ — „თერგი“, „მეტალურგი“ — „სპარტაკი“ ო., „შინიკი“ — „ჟალგირისი“, — „დინამო“ მ. — „დინამო“ ლ.

20. „ტავრია“ — „ყუბანი“, „მეტალურგი“ — „კრ. სოვეტოვი“, „კუზბასი“ — „ტორპედო“, „ურალმაში“ — ასკ რ., „ნისტრუ“ — „დინამო“ ლ., ასკ ო. — ჟალგირისი“, „კარპატი“ — „შინიკი“, „სპარტაკი“ ი.-ფ. — „დინამო“ მ., „სპარტაკი“ ო. — „თერგი“.

24. „კუზბასი“ — „მეტალურგი“, „ურალმაში“ — „ტორპედო“, „დინამო“ მ. — „ნისტრუ“, ასკ ო. — „დინამო“ ლ. „სპარტაკი“ ი.-ფ. — „შინიკი“, „კრ. სოვეტოვი“ — „ტავრია“, „ჟალგირისი“ — „კარპატი“, „ყუბანი“ — ასკ რ. „კოლხოზჩი“ — „პამირი“.

28. „კუზბასი“ — „ტავრია“, „ურალმაში“ — „მეტალურგი“, „ყუბანი“ — „ტორპედო“, ასკ რ. — „კრ. სოვეტოვი“, „შინიკი“ — „ნისტრუ“, „დინამო“ ლ. — „კარპატი“. „დინამო“ მ. — ასკ ო. „ჟალგირისი“ — „სპარტაკი“ ი.-ფ., „თერგი“ — „კოლხოზჩი“, „სპარტაკი“ ო. — „პამირი“.

### ივლისი

2. ასკ რ. — „კუზბასი“, „ტავრია“ — „ურალმაში“, „ტორპედო“ — „კრ. სოვეტოვი“, „მეტალურგი“ — „ყუბანი“, „შინიკი“ — ასკ ო. „დინამო“ ლ. — „სპარტაკი“ ი.-ფ., „ნისტრუ“ —„ ჟალგირისი“, „კარპატი“ — „დინამო“ მ., „პამირი“ — „თერგი“, „კოლხოზჩი“ — „სპარტაკი“ ო.

**შ ე ნ ი შ ვ ნ ა:** მატჩები შედგება პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე.

# ფეხბურთი

## პირველი მატჩი — 7 აპრილს

**როგორც** სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოდან იტყობინებიან ჩვენი ქვეყნის **41-ე ჩემპიონატი სტარტს აიღებს 1978 წლის 7 აპრილს.**

ამ დღეს გაიმართება უმაღლესი ლიგის გუნდების — დნეპროპეტროვსკის „დნეპრისა“ და მოსკოვის „დინამოს“ შეხვედრა.

### სპორტულ გაზეთზე

**ფეხბურთი.** **საკავშირო ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის, საქართველოს ზონა. 26 მარტი. მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. განათლების განყოფილება (თბილისი) — „გურია“ (ლანჩხუთი).** დასაწყისი 12 ს. „დინამოს“ ბაზა დიღომში. **„დინამო“ (თბილისი) — „განთიადი“ (თბილისი).** 16 ს.

## ჭადრაკის მოყვარულთა კუთხე

# ოთხწლიანი დუელი ნიკოლოზ კოროლიოვთან

ოთხი ბრძოლა და არცერთი მოგება. ჩემთვის კი გამარჯვებას ღრმა შინაგანი აზრი ჰქონდა. ვიდრე კოროლიოვი უძლეველი რჩებოდა, არ მატოვებდა უკმარისობის გრძნობა. მართალია, ხშირად გამოვდიოდი რინგზე, ვხვდებოდი ათასგვარ მოწინააღმდეგეს, ვიმარჯვებდი სამშობლოშიც, საზღვარგარეთაც, მაგრამ გამუდმებით მღრღნიდა ეჭვი. მეორე მოკრივედ ყოფნა შესაძლოა საპატიოც იყოს საერთოდ, მაგრამ ჩემთვის ეს მიუღებელი გახლდათ. არა სიამაყის ან პატივმოყვარეობის გამო. უბრალოდ, შეგრძნება იმისა, რომ არსებობს მიჯნა, რომელსაც ვერასოდეს გადალახავ, არ მაძლევდა საშუალებას გამომეყენებინა ჩემი ძალის მარაგი, ამომეწურა მთელი ჩემი შესაძლებლობა.

ამ ჩიხიდან ერთადერთი გამოსავალი არსებობდა — უნდა დამემარცხებინა კოროლიოვი.

### V ბრძოლა

1951 წელი. მოსკოვი.

ფიზკულტურის სასახლის დარბაზში აღმართულ, კაშკაშა შუქით დანათებული რინგის შუაგულში დევს ორი წყვილი შავი, საბრძოლო ხელთათმანი. იქვე დგანან სამნი. კოროლიოვის მწვრთნელი და სეკუნდანტი გრადოპოლოვი, ჩემი მწვრთნელი და სეკუნდანტი ოგურენკოვი და რეფერი ტიმოშინი. სეკუნდანტებს მუქი კოსტუმები აცვიათ. რეფერის მოსავს თეთრი შარვალ-ხალათი. წილი ყარეს ხელთათმანების გამო (მართალია ისინი ზუსტად ერთნაირია, მაგრამ ასეთია ტრადიცია), მომზადება დამთავრდა, დაჰკრა გონგმა, სეკუნდანტები გაძვრნენ რინგის თოკებიდან და მოლოდინით ატანილმა მაყურებელმა სული განაბა.

კოროლიოვი ძველებურად ჯიქურ მოიწევს. ცდილობს ახლო ბრძოლა მომახვიოს თავს. გავურბივარ ხან უკუ, ხან გვერდზე სვლით. მარჯვენით ვიგერიებ. დარტყმების სერია მომაყარა. მე დისტანციას ვიცავ. წრიულად ვმოძრაობ, თან პირდაპირებს ვურტყამ. კოროლიოვი ნახტომით მომწვდა, მარცხენა მითავაზა. ახლოს მომეჭრა. აპერკოტი მხვდება. ორი აპერკოტი მოვახვედრე, ერთიც პირდაპირი თავში და გავეცალე. წინმსწრებ დარტყმებზე ავაგე ბრძოლა. შევუტიე. ორი დავაცილე, ორი მოვახვედრე. გონგი.

ჩემია რაუნდი? თვალებით ვეკითხები სეკუნდანტს. ოგურენკოვი თავს მიქნევს დასტურის ნიშნად. გრადოპოლოვიც დახრილია კოროლიოვის თავთან, ჩვეულებისამებრ ხელებით უხსნის რაღაცას.

მეორე რაუნდში ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. ოღონდ წესებს არ ვარღვევთ. არც ერთი შენიშვნა მსაჯისა. თავგამოდებით ვიბრძვით, ვლამობთ სული გავაფრთხობინოთ ერთმანეთს. მაგრამ ორთავეს დარტყმები მხრებს, იდაყვებს, ანდა ხელთათმანებს ხვდება. ორივე ვმეცადინეობთ როგორმე გავაძვრინოთ გადამწყვეტი დარტყმა. ოღონდ ეს ძნელია, ძალზე ძნელი. უნდა დიდხანს ამზადო ეს დარტყმა, ყურადღება მოუსუსტო მეტოქეს და იმ დროს გაუქნიო მკლავი, როცა იგი შეტევას არ ელის, ოფლში ვართ გაღვრილნი. „არ მოეშვა!“ უყვირიან კოროლიოვს. „მარცხენა სვინგი!“, მომძახიან მე. ჩემი მეტოქე ასეთ რჩევებს არ საჭიროებს. მე კი სვინგს საერთოდ არ ვხმარობ. მაგრამ მაყურებელი თავისი ლოგიკით სჯის. გაცხარდა ბრძოლა. ბარი ბარსა ვარგა. თითქოს ბაწარს ვექაჩებოდეთ სხვადასხვა მხრით. ძალს კოროლიოვია, ძალს მე.

კოროლიოვი წამით ყოვნდება და მის თვალებში კრთის გაკვირვება, რომ ასეთ შეტევას ვუძლებ. კვლავ შეტევა. თავს არ იზოგავს მეტოქე. მაგრამ ამაოდ. ნუთუ დაჰკრა ჩემმა საათმა? ნუთუ ახლო ბრძოლაშიც დავჯაბნე? ხელები ყრუდ მტეხავს. რაუნდის ბოლოს გავერიდე და წრიულ მოძრაობას მოვყევი რინგის ცენტრის ირგვლივ, იმ ფიქრით, რომ ვერ მოითმენდა და შეტევის მოუმზადებლად დამესხმოდა თავს. ასეც მოხდა. კოროლიოვი დოსტოღრივ მეკვეთა და მაშინ ზედიზედ რამდენჯერმე მოვახვედრე, თავიც კი გადაუქანდა ერთი-ორჯერ.

მეტოქეს მგონი ილაჯი გაეცალა. მართალია მკლავში ძალა საკმაოდ შერჩა, მაგრამ სისწრაფე აშკარად დააკლდა. მაინც მოიწევს წინ. ასეთი ჯურისაა. მე კი თავს მხნედ ვგრძნობ და ვურტყამ ყოველის მხრიდან. ვურტყამ მარჯვენას, მარცხენას, მოკლე ჰუკს, გრძელ ჰუკს, პირდაპირს თავში, პირდაპირს სხეულში, აპერკოტს ნიკაპსა თუ კორპუსში, ვურტყამ ხელთათმანებზე, მხრებზე, ჰაერშიც გამექცა ბარეორჯერ ხელი... ვურტყამ და ვაცილებ, ვურტყამ და ვახვედრებ.

— რაუნდი მოგებულია, აბა შენ იცი, ახლა თავი არ დაზოგო. შინ მე მიგიყვან, ნუ გეშინია, მე შეგიდგები მხარში, — მეხუმრება ოგურენკოვი. ოხუნ-



ჯობა ამხნევებს, ახალისებს ქანცგაცლილ მოკრივეს.

გონგი. ახლა კი ხუმრობა იქით იყოს და მართლა თავი აღარ უნდა დავიზოგო. ან მე, ან ის. კოროლიოვი მიტევს ჰუკით. ვყვინთავ და მარჯვენას ვახვედრებ. ახლა ორი გვერდითი მომიქნია სხეულში. იდაყვი ვიფარე, მარცხენათი მივწვდი. მეტოქე ჩაცხრა, ახლა ჩემი ჯერია. მარჯვენა აპერკოტი, მერე მარცხენა, მარცხენა თავში. გულში ამოვიჭერი — ან მე, ან ის. კოროლიოვი ოთხდარტყმიანი სერიით პასუხობს, მაგრამ დარტყმები ვერ აღწევს ჩემამდე. კვლავ ვუტევ. დავაცილე. ერთი პირდაპირი მოვუნაცვლე, მეორე. მოხვდა. მარცხენა ჰუკი. სულში ნათელი მიდგება; ვიცი სულ მალე ძალზე ბედნიერი ვიქნები.

სამთავე გვერდითა მსაჯმა უჩვენა ჩემი კუთხის ფერი — ცისფერი ბაირაღი. რეფერიმ ხელი ამიწია. კოროლიოვმა კი რაღაც მითხრა. ხმაურში მისი სიტყვები არ მოსწვდა ყურს. გამარჯვება თუ მომილოცა...

სამი თვის შემდეგ კვლავ მომიწია კოროლიოვთან შეხვედრამ. მატჩი შედგა სტალინოში. ეს იყო ჩვენი მეექვსე შეხვედრა.

კოროლიოვმა დამაჯერებლად დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე და გავიდა ფინალში. სანიმუშო იყო ყველა მისი გამოსვლა.

ფინალში შევხვდით ერთმანეთს და ფრიად დაძაბულ ორთაბრძოლაში გამარჯვება მე მერგო. ჩემმა ერთადერთმა უპირატესობამ, რინგზე სწრაფი მანევრირების უნარმა, თავისი გაიტანა. ამით ვჯობნიდი, ხასიათის სიმტკიცით კი ვერ მივედრებოდი. რაღა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ასაკსაც. კოროლიოვი ხომ მთელი ათი წლით უფროსი იყო ჩემზე. ეს გარემოება რომ არა, ძნელი სათქმელი იქნებოდა, ვის მხარეს გადიხრებოდა სასწორი, ალბათ მაინც კოროლიოვისკენ. ასე მჯეროდა მაშინ, ასე მწამს ახლაც.

დაბოლოს ვიტყოდი, მე კოროლიოვის მოწაფე გახლავართ ერთი თვალსაზრისით. მკაცრი იყო მისი გაკვეთილები, დაუნდობელი იყო მისი მოშტები, მაგრამ კი [illegible] გამოსადეგი რამ გახლდათ. [illegible] სებური დარტყმები [illegible] ყოველი რაუნდი მარადიულობად მეჩვენებოდა, და ყოველი სეკუნდი აღივსებოდა გაუსაძლისი სიმძაფრით. ასე ვითვისებდი არა მხოლოდ კრივის უცნობ ხერხებს, არამედ რინგზე ორთაბრძოლის იდუმალ არსსაც. ჯიქურ მოიწევდა ჩემზე კოროლიოვი და დასახული მიზნის გამო არც თავს ზოგავდა, არც მეტოქეს. ამის შემხედვარეს მეგონა, თითქოსდა საკუთარი ხელით ვკვებოდი იმ გრანიტს, რომლიდანაც გამოკვეთილი იყო მისი ხასიათი და ამ ხასიათის ძალა რაღაც მანქანებით თითქოსდა მეც გადმომეცემოდა.

როცა რინგის იატაკიდან ვდგებოდი რიგასა, თბილისსა, კაუნასსა თუ მოსკოვში, ყოველთვის ვგრძნობდი, რომ იმ თვისებების თანაზიარი ვიყავ, რასაც მე ვგრძნობდი მრისხანე მეტოქეში. მისი მამაკაცური ღირსება, მებრძოლის სიამაყე თანდათან ჩემზეც გადმოდიოდა. ჩვენს შორის იქსოვებოდა რაღაც უხილავი კავშირი, რომელიც უბრალოდ კი არ გვაერთებდა, თანაფარდობასაც ამყარებდა ჩვენს შორის. მე დავინახე ჩემდამი პატივისცემა მის თვალებში, როცა მეექვსე ნოკდაუნის შემდეგ მაინც ავდექი რიგაში. ვიცი აგრეთვე, იგი კმაყოფილებას განიცდიდა, როცა მოსკოვში მეცხრე დათვლაზე მოვახერხე ადგომა. ეს ყოველივე სულაც არ უმსუბუქებდა ხელს მთელი სიმძაფრით კვლავ დასხმოდა თავს და მანამდე არ მომშვებოდა, ვიდრე არ დავკარგავდი ბრძოლის უნარს და მაინც, არ მგონია დიდად მოსწონებოდა, თუ შემამჩნევდა, რომ შემეძლო ფეხზე ადგომა და არკი ვდგებოდი. პირიქით, ალბათ დაეუფლებოდა გაცრუებული მოლოდინის გრძნობა. თითქოსდა გამარჯვება უფრო დამარწმუნებელი უნდა იყოს, როცა მოწინააღმდეგემ დაყარა ფარ-ხმალი და შეიგნო, რომ ბრძოლის გაგრძელება უშედეგოა. მაგრამ კოროლიოვი სხვა ყაიდისა გახლდათ. ბრძოლა ბოლომდე, იქამდე, ვიდრე მისხალი ძალა შეგრჩენია. ბრძოლა, სადაც მოკრივე სრულიად ამოწურავს თავის შესაძლებლობებს. ასეთი იყო კოროლიოვის მრწამსი. მხოლოდ დამარცხებულისადმი პატივისცემა იწვევდა მასში გამარჯვებულის პატივისცემას.

კოროლიოვი დამეხმარა შემეცნო საკუთარი თავი. დამეხმარა მეპოვნა რინგზე ის, რასაც ვეძებდი — საკუთარი, ჩემთვისვე შეუცნობი ხასიათი.

შესაძლოა ეს უცნაურადაც ჟღერდეს, მაგრამ მხოლოდ ერთის შეხედვით გვეჩვენება ასე. თავისი თავის წვდომა ყველას წილხვედრი როდია. ადამიანები ხშირად როდი ცხოვრობენ საკუთარი ცხოვრებით და ვერც საკუთარ ხასიათს ამჟღავნებენ ბევრჯერ. ჰგონიათ კი რომ მათი საქციელი, მათივ ნამდვილი მე-ს გამოვლენაა. სინამდვილეში ისინი არ იცნობენ საკუთარ თავს. მხოლოდ საგანგებო ვითარებას თუ ძალუძს გააქარწყლოს ადამიანთა სისხლსა და ხორცში გამჯდარი ცთომილი აზრები მათ საკუთარ პიროვნებაზე. ამ გარემოებას კი დიდხნობით უნდა ლოდინი და ვინ იცის, იქნებ ბევრს საერთოდაც არ დაუდგეს ასეთი შემთხვევა. და მაშინ მხოლოდ ბუნდოვანი უკმაყოფილება თუღა შეახსენებს ძეკაცისას, თუ მისი სულის რაერთი თვისება ჩაკვდა შეუმჩნევლად და ჩაიხშო. თუკი გაგიმართლათ, თუკი ოდესმე ძირამდე ჩაწვდით საკუთარ პიროვნებას, მაშინ უკანდასახევი გზა მოჭრილი გექნებათ, რადგან უკვე საბოლოოდ მიაგნებთ თქვენს ნამდვილ მე-ს.

ყველა ჩვენგანი გარკვეული გზით იმეცნებს საკუთარ თავს. ჩემთვის ასეთი გზა რინგი გახლდათ. კოროლიოვთან რინგზე შეხვედრებმა კი ეს გზა გაცილებით მოკლე გახადა და პირდაპირი.

* * *

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** ფრაგმენტი V ბრძოლიდან (ზემოთ); ა. შოციკასი და ნ. კოროლიოვი.



დასასრული. იხ. „ლელო“ № 56, 58.

## მსოფლიო ჭადრაკის მატიანე

# კაპაბლანკას ტრიუმფი

1920 წლის თებერვალში, ამსტერდამში ე. ლასკერი და ხ. კაპაბლანკა შეხვდნენ ერთმანეთს მსოფლიო პირველობაზე მატჩის თაობაზე. მათი შეხვედრის ორგანიზაცია იკისრა ჰოლანდიის საჭადრაკო კავშირმა. მეტოქენი შეთანხმდნენ, რომ ითამაშებდნენ 30 პარტიას ჰოლანდიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. საპრიზო ფონდი 8 ათასი დოლარით განისაზღვრა. მაგრამ ორთაბრძოლა არ შედგა, რადგან ჰოლანდიელებმა ომგადახდილ ევროპაში ვერ შეაგროვეს საჭირო თანხა.

კორიფეთა მატჩს მასპინძლობა შესთავაზა არგენტინამ და კუბამ, მაგრამ ამ ქვეყნების ცხელი ჰავის გამო ლასკერმა იქ თამაშზე უარი თქვა. მისთვის პირველობა რომ არ დაებრალებინათ, ლასკერმა გამოაცხადა: მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს უბრძოლველად ვუთმობ კაპაბლანკასო.

საზოგადოებრიობამ და კაპაბლანკამ არ მიიღეს მსოფლიო ჩემპიონის „საჩუქარი". კუბელ დიდოსტატს გვირგვინის მოპოვება ბრძოლაში სურდა. ამიტომ იმავე წელს ჰოლანდიაში იგი კვლავ შეხვდა ლასკერს. მან მსოფლიო



ჩემპიონს შეთავაზა ჰავანის საჭადრაკო კლუბის პირობები: 24 პარტიის თამაში, საპრიზო ფონდი 20 ათასი დოლარი, საიდანაც 11 ათასი პირადად მას, ოღონდ შეხვედრა ჰავანაში. ლასკერს მოეწონა წინადადება და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან არ უნდოდა ჰავანაში თამაში, ომგადახდილმა, მატერიალურად შევიწროებულმა მსოფლიო ჩემპიონმა მიიღო გამოწვევა. მან განაცხადა, რომ მატჩის შედეგის მიუხედავად კაპაბლანკა მსოფლიო ჩემპიონად დარჩება, რადგან ადრე ნათქვამი სიტყვები უკან არ მიმაქვსო.

ამ დროს კაპაბლანკა უნაკლო მოჭადრაკე იყო. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მიტელშპილისა და ენდშპილის თამაშში. მის ენერგიულ და ელეგანტურ სტილს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა თვით მოჭადრაკეთა შორის. ყველა ფიქრობდა, რომ იგი სძლევდა უბერებელ ლასკერს.

1921 წლის 15 მარტს ჰავანის უმდიდრეს სასტუმრო „გრან კაზინო პლაიაში" დაიწყო ლასკერ — კაპაბლანკას მატჩი. მეტოქენი თამაშობდნენ ცალკე ოთახში, სადაც ვერ აღწევდა ქალაქის ხმაური. იქვე იყო ბაღში გასასვლელი, სადაც დასვენება შეიძლებოდა.

ლასკერი არ იყო მზად ძნელი პაექრობისთვის. ჰავანის ცხელი კლიმატიც უშლიდა აზროვნებას. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ 20 წლით უმცროსი კაპაბლანკა უკეთესად თამაშობდა.

პირველი ოთხი პარტია დაძაბულ პოზიციურ ბრძოლაში მიმდინარეობდა და ყაიმით დამთავრდა. ლასკერმა ვერც ერთხელ ვერ მიმართა თავის ფსიქოლოგიურ მეთოდს. კაპაბლანკა საგრძნობლად გაძლიერებული იყო მათი უკანასკნელი შეხვედრის (1914 წ.) შემდეგ და ავტომატივით თამაშობდა. ლასკერმა მხოლოდ V პარტიაში სცადა რისკიანი თამაში და მყისვე დაისაჯა, წააგო. მერე ისევ ზედიზედ ოთხი პარტია ყაიმით დასრულდა. ლასკერმა ვერც ამ პარტიებში გამოაჩინა თავისი მრისხანე ძალა, დიდი შემოქმედება. უფრო მეტიც, იგი თავად უზავდებოდა მეტოქეს 30-ე სვლამდე. X პარტიაში კაპაბლანკამ აჯობა მას ენდშპილში და ანგარიშშიც კიდევ უფრო დაწინაურდა — 6:4.

XI პარტიაში კაპაბლანკა კვლავ მარჯვედ აყენებდა ლასკერის წინაშე რთულ პრობლემებს, რომელთაც მსოფლიო ჩემპიონმა თავი ვერ გაართვა. „იგი მაიძულებდა, წერდა ლასკერი, რთული ამოცანების გადაწყვეტას, რაც საკმარისი იყო ნებისმიერი დაღლილი მოჭადრაკის დასაჯაბნად".

ორი ყაიმის შემდეგ, XIV პარტიაში ლასკერი შეცდა ცაიტნოტში და უხარისხოდ დარჩა. თავგამოდებული წინააღმდეგობის მიუხედავად, კაპაბლანკამ გაიმარჯვა. ლასკერი წერდა, რომ პარტიის დროს თავი სტკიოდა, ბუნდოვნად ხედავდა საჭადრაკო დაფას.

ლასკერმა თავის ექიმს მიმართა. მას დასვენება ურჩიეს. მაგრამ ლასკერმა გამოაცხადა, რომ მატჩს თმობს და მაშინვე გაემგზავრა ევროპაში, მადრიდში... ერთდროული თამაშის სეანსების გასამართად.

კაპაბლანკამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა — 9:5 (+4—0=10). იგი ჭადრაკის ისტორიას მესამე მსოფლიო ჩემპიონად მოევლინა. თვით ლასკერმა უმაღლესი შეფასება მისცა კაპაბლანკას სტილს, შემოქმედებას, მაგრამ იგი იდეალურ ოსტატად არ აღიარა.

ხოსე რაულ კაპაბლანკა (19. XI. 1888 — 8. III. 1942) ჭეშმარიტად გენიალური მოჭადრაკე იყო. ა. ალიოხინი წერდა: „კაპაბლანკა იყო კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი საჭადრაკო გენია. მას ვერასოდეს გაუტოლდება ვინმე". თამაში ოთხი წლისამ ისწავლა. 12 წლის უკვე კუბის ჩემპიონი იყო. კაპაბლანკამ დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი და დიდხანს დიპლომატად მუშაობდა. სახელი გაითქვა 1909 წელს, როცა მატჩში სძლია აშშ-ის ჩემპიონს ფ. მარშალს (+8—1=14). საერთაშორისო სარბიელზე გამოჩენისთანავე (სან-სებასტიანი, 1911 წ.) დაატყვევა საჭადრაკო სამყარო თავისი ძალითა და ლამაზი პარტიებით.

კაპაბლანკა შედარებით ცოტას თამაშობდა. მან 36 საერთაშორისო ტურნირსა და 6 მატჩში მიიღო მონაწილეობა. ტურნირებში 22 პირველი პრიზი მოიპოვა, ხუთ მატჩში გაიმარჯვა. კაპაბლანკა იშვიათად აგებდა — 40 წლის განმავლობაში 583 პარტია ითამაშა, მათგან 302 მოიგო, 35 წააგო და 246 ყაიმით დაამთავრა. საინტერესოა, რომ 1916-1924 წლების მანძილზე კაპაბლანკას ერთი პარტიაც არ წაუგია.

გარეგნობით კაპაბლანკა ლამაზი, სანდომიანი კაცი იყო. კარგად აღზრდილი, მუდამ კეთილმოსურნე და მოღიმარი. უყვარდა ჩოგბურთი. ძალზე თვითკრიტიკულად აფასებდა თავის შემოქმედებას. ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს მისთვის ჭადრაკი არ იყო მთავარი საქმე. სინამდვილეში კაპაბლანკას ღრმად და ერთგულად უყვარდა ბრძენთა თამაში და... საკუთარი თავი. ჭადრაკში მის ვეებერთელა ძალასა და ხელოვნებას განსაზღვრავდა ფენომენალური ინტუიცია, რაც ხელს უწყობდა წინასწარ სწორად განეჭვრიტა მოვლენები და საოცარი სისწრაფით მოენახა სწორი გაგრძელება.

კაპაბლანკა მსოფლიო ჩემპიონად რომ აკურთხეს, იმდროინდელ მსოფლიოში მასზე ძლიერი მოჭადრაკე ნამდვილად არავინ იყო. მაგრამ ჭადრაკის მეფის ტახტზე პრეტენზიები ბევრს ჰქონდა, პირველ ყოვლისა, ა. რუბინშტეინსა და ა. ალიოხინს.

თ. გიორგაძე.

# ხუთი რგოლი მარკებზე







ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ბრუნვაში ჩაეშვება „ოლიმპიადა-80-ის" სპორტის სახეობების" სერიის საფოსტო მარკები. ეს სერია შარშან კრივის, თანამედროვე ხუთჭიდის, ფარიკაობისა და ზოგიერთი სხვა ოლიმპიური დისციპლინისადმი მიძღვნილი მინიატურების გამოშვებით დაიწყო. წელს გამოვა სპორტის საწყლოსნო სახეობების ამსახველი მარკები.

გამოშვებას ხსნის მარკა, რომელზედაც გამოსახულია მოცურავე სტარტის აღებისას, მეორეზე აღბეჭდილი სპორტსმენი ქალი, რომელიც ისარივით ჰკვეთს წყლის ზედაპირს, კოშკიდან წყალში ხტომაში მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონის — ე. ვაიცეხოვსკაიას ტრიუმფს მოგვაგონებს. კიდევ ერთი, წყალბურთისადმი მიძღვნილი მინიატურა ერთგვარი სურვილია საბჭოთა ნაკრებმა გაიმეოროს მონრეალში მოპოვებული წარმატება, სადაც ჩვენმა სპორტსმენებმა ოქროს მედალი დაიმსახურეს. მეოთხე და მეხუთე მარკების თემაა ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა. მხატვარ ნ. ლიტვინოვას ნახატების მიხედვით შექმნილ ოლიმპიურ სერიას ავსებს საფოსტო ბლოკი, რომელზედაც ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავებია ასახული.

ბრუნვაში ჩაშვებული მინიატურების მიზანია სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის პროპაგანდა.

ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

□

## ჯანმრთელობის კომპლექსის სტარტები

ჯანმრთელობისა და ძალის დღესასწაულად იქცა ტაჯიკეთის დედაქალაქში ჩატარებული პირველობა მშდ კომპლექსის მრავალჭიდში. შეჯიბრებამ, რომელიც აქ პირველად მოეწყო, მონაწილეთა დიდ რაოდენობას მოუყარა თავი. დუშანბეს მოწინავე საწარმოების მუშა-მოსამსახურეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სროლაში, საკროსო დისტანციის დაძლევასა და ღერძზე მიზიდვაში. მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში თავი გამოიჩინეს დუშანბეს ბამბეულის გაერთიანების, ძერჟინსკის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნისა და მაცივრის ქარხნის ფიზკულტურელებმა. შეჯიბრების რეკორდი დაამყარა და ვეტერანთა შორის გამარჯვებული გამოვიდა ტაჯიკეთის ფიზკულტურის ტექნიკუმის პედაგოგი ი. კლევცოვი, რომელმაც ღერძზე 29-ჯერ აიწია.

ტაჯიკეთში სულ უფრო პოპულარული ხდება „ჯანმრთელობისა და ძალის კომპლექსი". ამჟამად რესპუბლიკაში 500.000-ზე მეტი მშდ-ის ნიშნოსანია.

ლ. ჩირგინი,
საკდესის კორ.

დუშანბე.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის მეთორმეტე ტირაჟისა, რომელიც 22 მარტს მოსკოვში მოეწყო.

„სპორტლოტო": ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო; ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 99, ოთხისთვის — 74, სამისთვის — 4.

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომერი აქაც ვერავინ გამოიცნო; ექვსი ნომრის გამოცნობისთვის (შეღავათიანი ბურთულით) მოგება — 3133 მანეთია, ხუთისთვის — 2133, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 62, ოთხისთვის — 37, სამისთვის — 3.

მოგებული თანხა გაიცემა 2 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით.

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა „შაბათის სპორტლოტოს" მორიგი, მეთორმეტე ტირაჟი.

აი იღბლიანი ციფრები და სახეობები:

პირველი: 8 (საგზატკეცილო ველორბოლა), 14 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 24 (ხელბურთი), 29 (ტყვიის სროლა), 33 (ფიგურული ციგურაობა).

მეორე: 1 (კალათბურთი), 6 (კლასიკური ჭიდაობა), 14 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 22 (ცურვა), 26 (სამბო).

# ინგლისის ნაკრების ახალი მწვრთნელი

## ფეხბურთი

**ლონდონი.** „ინგლისის ფეხბურთი ბოლო 6 წლის მანძილზე ძნელად ამოსახსნელ გამოცანას წარმოადგენს. თუ საკლუბო გუნდები რეგულარულად გადიან სხვადასხვა ეროვნული ტურნირების ფინალში, ეროვნულმა ნაკრებმა წააგო ყველაფერი რაც კი შეიძლებოდა. ახლა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ამ პრობლემის გადაჭრა რონ გრინვუდს მიანდო", — წერს რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ეროვნული ნაკრების ახალი მწვრთნელისადმი მიძღვნილ წერილში.

58 წლის გრინვუდი, რომელიც უწინ ცნობილ კლუბში „ვესტ ჰემ იუნაიტედში" მუშაობდა, ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს და კიდევ ორი წელი იქნება ამ ადგილზე. ეს არცთუ დიდი დროა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მსოფლიო თასის მფლობელი გუნდი უკვე ორჯერ ვერ მოხვდა ამ პოპულარული შეჯიბრების ფინალში, და ასევე ევროპის პირველობის ფინალების მიღმაც დარჩა.

ახალ მწვრთნელზე ინგლისური პრესის წარმომადგენელთა აზრი სხვადასხვანაირია. ზოგიერთ მიმომხილველს მიაჩნია, რომ გრინვუდი ახალგაზრდა არ არის, ბევრ მოთამაშეს მამად ერგება და მას გაუძნელდება მათთან საერთო ენის გამონახვა. ამასთან აღნიშნავენ, რომ „ვესტ ჰემი", სადაც გრინვუდი 1962 წლიდან მუშაობდა, არცთუ წარმატების მქონე კლუბია. მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა ორჯერ მოიგო ინგლისის თასი და ერთხელ (1965 წ.) ევროპის თასების მფლობელთა თასს დაეპატრონა, იგი ძირითადად პირველ ლიგაში დასარჩენად იბრძვის. უნდა ითქვას, რომ „ვესტ ჰემი" ყოველთვის მიმზიდველ ფეხბურთს თამაშობდა. ამ გუნდს აღუზრდია ისეთი ექსტრა-კლასის ფეხბურთელები, როგორიცაა ბობი მური, ჯეფ ჰერსტი, ტრევორ ბრუკინგი.

საერთო აზრი კი ასეთია, რომ გრინვუდის ძირითადი ამოცანაა შეაგროვოს საჭირო მოთამაშეები სხვადასხვა კლუბებიდან და ერთობლივი ვარჯიშისთვის შედარებით მოკლე დროში მოამზადოს გუნდი, რომელიც გაიმარჯვებს.

ინგლისური ფეხბურთის მთელი სისტემა ემყარება კლუბების ფილოსოფიას — რაც შეიძლება ნაკლები მატჩები წააგონ. ხშირად იკარგება ეფექტური ინდივიდუალური ფეხბურთი. იმიტომ რომ ნებისმიერ მოთამაშეს, რომელიც ცდილობს გამოავლინოს ბურთის ფლობის ინდივიდუალური ოსტატობა, იქვე მოცელავს მეტოქე.

იმ ფეხბურთელთა ნაკრების გამოცდილებამ, რომელთაც ამ ბოლო დროს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, გვიჩვენა, რომ შემტევი ფეხბურთის გარეშე შეუძლებელია გამარჯვების მიღწევა. ჰოლანდია, გფრ და ბრაზილია მიისწრაფვიან გაიტანონ გოლი პირველივე შესაძლებლობისთანავე. როგორც წესი, თამაშის დაცვითი სტილი საპასუხისმგებლო ტურნირების ფინალში ადგილის დაკავების მეტს არაფერს აძლევდა გუნდებს.

გრინვუდი შემტევი ფეხბურთის მომხრეა. — დაივიწყეთ დაცვა, — ამბობს იგი. — როგორ შეგვიძლია ვიყოთ დაცვითი სტილით მოთამაშე გუნდი თუ ვერ ვფლობთ ბურთს? შემტევი თამაშის სტილს ბევრი დადებითი შედეგი მოაქვს, გოლებიც უფრო უხვადაა და შესაძლებლობას აძლევს ფეხბურთელს გამოავლინოს თავისი ინდივიდუალური ოსტატობა. მოდით დავივიწყოთ „ბეტონი" და წავიდეთ წინ".

თუ რამდენად შეძლებს გრინვუდი თავის სამწვრთნელო კონცეფციის ხორცშესხმას, ამას დრო გვაჩვენებს (საკდესი).

## ცურვა

**ლენინგრადში** დაიწყო მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე. ასპარეზობაში მონაწილეობენ ბულგარეთის, გდრ-ის, გფრ-ის, უნგრეთის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენები.

13 წლის ლენინგრადელმა სპორტსმენმა, ორგზის ევროპის ჩემპიონმა ი. ბოგდანოვამ 200 მეტრზე ბრასით ცურვაში ყველა მეტოქეს აჯობა — 2.35,47. ვაჟთა შორის იმარჯვა ა. მისკაროვმა (ელგავა) — 2.20,55.

100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში თავი ისახელეს: ქალებში — ო. კლევაკინამ — 58,64, ვაჟებში — ვ. ბურემ (ორივე — მოსკოვი) — 52,26, 100 მეტრზე ბატერფლაით ასპარეზობაში — ტ. გრიშჩენკოვამ (მოსკოვი — 1.04,9) და ვ. დომბროვსკიმ (კიევი — 56,97). 200 მეტრზე გულაღმა მოცურავეთა შორის ფინიშთან პირველები მივიდნენ კ. სტუდენიკოვა (კიევი) — 2.20,72 და ზ. ვერასტო (უნგრეთი) — 2.06,4.

რედაქტორი ა. გასილაია.


თბილისის სპორტულ ბაზებზე

წყალბურთი. სსრ კავშირის პირველობა 1960-62 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზი. დასაწყისი 26, 27, 28 მარტს — 18 ს. 29 მარტს — 10 ს. და 16 ს.





ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი
(აკ. წერეთლის პრ. № 2)
29 მარტი
ფეხბურთი
ევროპული თასების მფლობელთა თასის გათამაშება
„დინამო" (მოსკოვი) — „აუსტრია" (ვენა, ავსტრია)
დასაწყისი 19 ს.
ბილეთები გაიყიდება ორგანიზაციებზე — 27 და 28 მარტს 10 საათიდან; საერთო გაყიდვა 28-29 მარტს 10 საათიდან „დინამოს" სტადიონის სალაროებში.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-66-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-66-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უუ 07753